

აზერბაიჯანელი მოკრივეები ფინალში გავიდნენ
პარასკევი, 15 ნოემბერი 2013 22:33

 

რუსეთის ქალაქ ანაპაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კრივში იუნიორთა შორის 3 აზერბაიჯანელი მოკრივე ფინალში გავიდა. 46 კგ წონით კატეგორიაში მებრძოლმა რუფატ ჰუსეინოვმა საქართველოს წარმომადგენელი გიორგი ჩარკაზია დაამარცხა. ფინალში იგი რუს მოკრივეს მაგომედ მაგომედბეკოვს შეებრძოლება.

ტაიფურ ალიევმა (52 კგ) იტალიის წარმომადგენელი მარკო ამოროზო დაამარცხა, ფინალში კი რუს ტამერლან ხანგიშიევს შეხვდება.

ჰუსეინ თარვერდილმა (70 კგ) კი სომეხი ვარდან კოსიანი დაამარცხა.

1 / 1